ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1775310

ნომერი: AR1290725

თარიღი : 02.03.2015

გაცემის თარიღი : 10.03.2015

გაცნობის თარიღი : 10.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 23 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიქტორ კვიტატიანი პ/ნ 01024018243
- თბილისი საბურთალოს ქ. N 59"ბ" ბ. 54

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, შემდეგს:

ამჟამად თქვენს მიერ „ფაილის მიმაგრების ველში“ ატვირთულია საპროექტო და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საკადასტრო გეგმები საპროექტო ღობისა და ტერიტორიის მოშანდაკების დატანით. წარმოდგენილი საკადასტრო გეგმებით დგინდება, რომ საკადასტრო გეგმაზე #01.19.26.004.194 საპროექტო ღობის მოწყობა ხორციელდება სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე და იკეტება სერვიტუტით დატვირთული ტერიტორია, რომელიც ერთადერთ მისასვლელ გზას წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებულ შენობასთან. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ("ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი სივრცე განმარტებულია, როგორც განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა ტიპის სივრცეები). სერვიტუტზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია. აქვე გაცნობებთ, რომ ღობის მოწყობა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აღნიშნული ტერიტორიის კორექტირება და შესაბამისად კორექტირებული საკადასტრო გეგმის წარმოდგენა, სადაც სერვიტუტით დატვირთული ტერიტორია აღარ იქნება დატანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე მოიხსნას ღობე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟებიი დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და ფოტომონტაჟები ერთიდაიგივე რაკურსიდან უნდა იქნას გადაღებული და დამუშავებული. ფოტომონტაჟები დამუშავდეს „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს ველში ატვირთულ ფოტოსურათებზე.

წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემულ თანხმობაზე თანდართული დანართები. გაითვალისწინეთ, რომ გზის მოწყობა უნდა განხორციელდეს #1 დანართში მონიშნულ ტერიტორიაზე. დანართები უნდა აიტვირთოს „დამატებითი დოკუმენტაციის ველში“. ასევე გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულ დანართში ასევე მითითებული უნდა იქნას #01.19.26.004.195 საკადასტრო კოდზე მონიშნული მოშანდაკების საპროექტო ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ დანართში აღნიშნული ტერიტორია მითითებული და მონიშნული არ იქნება აღნიშნული საკადასტრო გეგმა (#01.19.26.004.195) ამოღებული იქნას ველიდან, ვინაიდან მონიშნული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქის კუთვნილ მიწის ნაკვეთს და სამსახური ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობის გარეშე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.